წელიწადი I-ლი — ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი — ფასი 15 მან.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურა . . . . . 300 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . . . 20 მან.
4 „ „ . . . . . 15 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმ.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზეთ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის თეატრში 1 საათ. სად. 5 ს.

№ 28 — ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო — № 28

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროძალ-სხირტლაძის

ოთხშაბათიდან 7 ოქტომბრიდან 1920 წ. იქნება ნაჩვენები პირველათ ბათომში,

ტრიუმფი! გრანდიოზული პროგრამა ტრიუმფი!

**კალიფორნიის გმირი**

კინო-დრამა 5 განყ. მთავარ როლში ცნობილი კამილო აპოლლონი.
დასასრული **საშინელი ურაგანი.** სანახაობა.

**ანონსი:** ორშაბათიდან 18 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება კინემატოგრაფიის შედევრი **ცეცხლის თაყვანისმცემლები.** — დრამა 6 დიდ ნაწილად. — ამ სურათზე ცნობილმა იმპროვიზატორმა ი ნ. ხუდიაკოვმა სპეციალურად დასწერა მუსიკა.

ლია ჰაერზე, ახალი სპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი
„ტ რ ი უ მ ფ ი“
ნ. ბროძალ-სხირტლაძის

სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი

ხუთშაბათიდან, 1920 წლის 14 ოქტომბრიდან საუცხოვო პროგრამა „რუსული ოქროს სერიიდან“

**დააქორწინა ისინი სატანამ**

დრ. 5 ნაწილათ.
1 ნაწ.—გიპნოზის ძალით. 2 ნაწ.—დიდი განგების ძალა.
3 ნაწ.—ზეციდან უფსკრულისკენ. 4 ნაწ.—ბოროტების ყვავილები.
5 სიკვდილის ზეიმი.
დასასრულ **მაქს აუერბახის თამგაკო მოწევა.**

**ანონსი:** მზადდება საჩვენებლად **ანა კარენინა.**

# „დედათა და ბავშვთა დაცვის დღე“

კვირას 17 ოქტომბერს ბათომში მოეწყობა «დედათა და ბავშვთა დაცვის დღე».

— დ ღ ი ს ი თ —
თეატრ «აპოლოში»
**სახალხო ლატარია.**

— ს ა ღ ა მ ო ს —
საზოგადო საკრებულოს ზალებში
**კონცერტი—კაბარე.**
საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.
დასაწყისი სად. 10 საათზე.

შემოწირულებათა მიღება ლატარიისათვის სწარმოებს საგანგებო კომისარის ბინაზე (ზღვის და სმეკალოვის ქუჩების კუთხე) მდივანის ასულთან. მაგიდების წინასწარ დაკვეთა შეძლ. გაზ «ეხო ბატ.» რედ.

შემოსავლის ნახევარი გადაიდება მიწის ძვრისგან დაზარალებულთა და ფრონტზე დაღუპულ სახალხო გვარდიელების დაჯარის-კაცთა ბავშვებისათვის, რომლებიც საზოგადოე'ის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან თბილისში; მეორე ნახევარი გადაიდება საზოგადოების ბათომის განყოფილებისათვინ.

საღამოს დიასახლისი, საზოგადოების თავმჯდომარე **ინა ივანეს ასული ჟორდანიასი**

**საქართველოს სოც. ფედერალისტთა სარ. პარტია**
შაბათს, 16 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია

# პარტიული კრება.

მოხსენებას წაიკითხავს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ.

**სიმონ მდივანი**

საკონფერენციო და სხვა ს. კითხებზე.
ამხ. ნდგებისათვის დასწრება აუცილებელია.
საქ სოც. ფედ. სარ პარტიის ბათომის კომიტეტი.

# გამყრელიძის ცირკი.



ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი.

მსოფლიო ჩემპიონატის ფრანგული ჭიდაობის გაგრძელება, რომელიც მოაწყო ძველმა სპორტსმენმა ცირკის დირექტორმა ნ. ა. გამყრელიძემ მსოფლიოს ყველა ნაწილების ფალავნებ-სათვის.
დღეს ჭიდაობს სამი წყვილი:

1) მოხალისე—მუშა ესტ ონიისჩემპიონის მოზინგის წინაალმდეგ. 2 გადამწყვეტი ჭიდაობა საბოლოო შედეგამდი. სპარსეთის ჩემპიონი გენჯა ალი—უკრაინის ჩემპიონას ზაგორუკოს წინაალმდეგ. 3 რუსეთის ჩემპიონი ბრონენოსცევი—მსოფლიოს ჩემპიონის მურომეცის წინაალმდეგ.

თვალყური ადევნეთ აფიშებს.

ხუთშაბათს, ჯერ არ ყოფილი მონსტრ—წარმოდგენა.
საუკეთესო ძალების და აგრეთვე ცნობილ კრეპსის მონაწილეობით.

# შმაევსკის თეატრი.

პარასკევს, 15 ოქტობერს, 1920 წელს შესდგება

**სიცილ—ხარხარის საღამო**

ვასო ურუშაძის ხელმძღვანელობით.
მიხაკო ნემოს და შალვა ჯაფარიძის მონაწილეობით.

პირველად: 1.

**ჰუ, ქე არ დეიღუპა ხუცესი!**

სანახაობა 1 სურათად შ. ჯაფარიძისა. დასდგამს ავტორი.

პირველად: 2.

**მესამე ცოლი გრიგოლ კროჭისა.**

იმერული ხუმრობა 1 სანახავათ ვასო ურუშაძის. დასდგამს ავტორი.
3 იმერული სცენები სცენები ქუთათურ ებრაელებზე. გურული სცენები. 4. ახალი კუპლეტები პოლიტიკური თემაზე «მიცოცავს».
ჩვენი ქალაქის მიმოხილვა «ვაი-ვუის», ორკესტრზე.
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
ბილეთები ხელმისაწდომია—თეატრის კასაში.

# საქართველოს სახელმწიფო
## ბანკის ბათომის
# განყოფილება

ხსნის თავის ოპერაციებს 18 ოქტომბრიდან. ბანკის სალარო ღია იქნება 10—1 საათამდე. მოქალაქენი, რომელთაც სურთ მიიღონ კრედიტი ბანკში, შეუძლიანთ შემოიტანონ განცხადება კრედიტის გახსნის შესახებ 15 ოქტომბრიდან. ბანკის შენობა—დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 8.

რაჟდენი და აგრაფინა გოფოძე, უღრმეს მადლობას უძღვნით იმ პირთ ვინც პატივსცა მათი შვილის

ვენერას

ცხედრის დაკრძალვის დღეს.

---

# განცხადება

ამით ვაცხადებ, რომ პარასკევს 15 ოქტომბერს დილის 10 საათზე **ბოროდოკში** ბათომის ს.-სურსათო მაღაზიის ბინაზე დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

ბათომის გარნიზონისათვის პურის გამოცხობის საქმის მოსაგვარებლად. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველნი ამ დროსათვის საჭირო საბუთებით და ბეთი უნდა გამოცხადდენ დანიშნულ ადგილს

**მაღაზიის ზედამხედველი.**

---

ოლღას და შეპელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ

გაიხსნა

# ლ ო ტ ო

საქველმოქმედო მიზნით.

**გახსნის პირველ დღეთ დანიშნულია შაბათი 16 ოქტ.**

ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

---

## ბათუმი 14 ოქტომბერი.

ოლქის მდგომარეობა სახიფათოა, ბოლშევიკები და ქემალისტები ხალხში გავიდენ სამუშაოდ დღეს ჩვენ გვმართებს ფიქრი და შრომა თუ როგორი გზით უნდა შევებრძოლოთ ამ მოვლენასო, სთქვა მეჯლისის საგარეგებო სხდომაზე, პოლიტიკურ პარტიებისწარმომადგენელთაბით თანადასწრებით რომ გაიმართა ოქტომბრის 12-ს, მეჯლისის თავმჯდომარემ ბ-ნ მემედ-ბეგ აბაშიძემ.

განცხადება იმდენად საყურადღებოა, რამდენადაც ჩვენ ოლქის კეთილდღეობა გვაინტერესებს და ხალხს ვიცავთ ნაირნაირ ავანტურისტთა მადისაგან.

მეჯლისის სხდომაზე გამოითქვა ერთსულოვანი აზრი ხალხის მტრების წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლის წარმოებისა და არჩეული იქმნა კომისია, რომელიც გამოიმუშავებს ამ ბრძოლის გეგმას და მის სინამდვილესთან შენაწევრების საშვალებათ.

ცივ საციფრო ცნობებით ჯერ არ ვიცით თუ რა ამბავია ოლქში, ან რომელი პროვოკატორი უფრო მეტს მუშაობს, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ოლქში ხალხის აღელვება და მისი მთავრობის დასაპირდაპირებლად ამხედრება გრძელდება.

ასეთ საქმეებს სჩადის ოლქში ყველა ბედის მაძიებელი, დღეს რომ ბოლშევიკობს ან ქემალისტობს.

აქ ორი აზრი არ არსებობს, ჩვენ ასეთი მახინჯი მოვლენანი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაქროთ.

ამისთვის გვჭირია ყოველ მხრივ შეფასებული მიზან-შეწონილი მუშაობა.

ჩვენ უნდა შევსძლოთ ხალხისთვის თვალთა ახილვა, მისი ბურუსიდან გამოყვანა. ხალხმა უნდა შეიგნოს ყოფა თვისი და მოვალეობა ქვეყნის წინაშე. მეჯლისის სხდომაზე იყო აზრი გამოთქმული, რომ მუსლიმანმა ქართველმა მარტო ბათომის ოლქის მცხოვრებად კი არ უნდა ჩაითვალოს თავი, არამედ მთელ რესპუბლიკის მოქალაქეთ, რომელსაც ერთნაირად უნდა აინტერესებდეს საქმე თბილისისა და ბათომისა.

უნდა ვიმუშაოთ მუსლიმან ძმების დასაახლოვებლად და მათში სწორ თვითცნობიერების შესატანად.

ამისთვის მისაღებად მიგვაჩნია სახალხო ბროშურების გამოშვება ქართულ-თურქულ ენაზე, სახალხო საუბრების გამართვა, სახალხო თეატრების მოწყობა დაბებსა და ქალაქებში, ხოლო საბოლოოდ ეს მიზანი სკოლას ეკუთვნის, მაგრამ მომენტისთვის ჩვენ ასე უნდა ვიმოღვაწეოთ.

სიფხიზლით და მეტი ენერგიით ვიმოქმედოთ, ჩვენი დაუდევრობით ნუ შევქმნით ისეთ მდგომარეობას, როცა თავის გართმევა ძნელი იქნებოდა.

ყველა სამუშაოზე, ყველა გულწრფელ შრომისკენ. ერთი გაბრძოლება კიდევ მოგვიხდება. ქართველმა მუსლიმანმა, რომელმაც 400 წლის სიგრძეზე შეინახა სახე თვისი მშობლიურ დედის-ქართული, დღეს უნდა გაარჩიოს მტერ-მოყვარე და უნდა შეაფურთხოს ეშმაკს.

## მორიგი პროვოკაცია.

ქვევით ჩვენ ვბეჭდავთ ,,მორინგ პოსტის‘ მეთაურს, რომელიც სიყალბით და ინსინუაციებით არის სავსე.

ამ გაზეთის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩვენი მტრების ჩურჩულის ქვეშ სწავლობენ საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას, იჩენენ არა მარტო საქართველოს წარსულის არამედ აწმყოს სრულ უცოდინარობასაც.

იმ ხალხისათვის, ვის ქომაგათაც ინგლისელ კონსერვატორთა ორგანო გამოდის, არ არის სავალდებულო საქართველოს ისტორიის ცოდნა, მათი მიზნებისათვის ეს უფრო გამოსადეგია, მაგრამ როცა სერიოზული ორგანო ინგლისის საზოგადოებას ასეთი ჭორებით და სიყალბით უმასპინძლებს, ეს კი პირდაპირ შეუწყნარებელია. პუბლიცისტებმა ,,მორ. პოსტიდან‘‘ არ იციან, რომ ქართველი ხალხი მუდამ გაერთიანებისათვის იბრძოდა მხოლოდ აუარებელი მტრები, გარს რომ გვეხვეოდა და მოსვენებას არ გვაძლევდენ, გვიშლიდენ ხელს. საქართველოსათვისაც ყოფილა ბედნიერი ხანა, როცა ერის მტკიცე ნება, უძლევია მტერთა თავდასხმა და გაერთიანებულა, მაშინ გაერთიანებულ საქართველოს წინაშე ძრწოდენ და კანკალებდენ ის ქვეყნები, რომლებსაც დღეს დრედნოუტებით და საოკუპაციო ჯარებით იმორჩილებენ მოკავშირეები.

ინგლისელმა ისტორიკოსებმა იციან რამდენათ ,,უძლური‘‘ იყო ერეკლე მეორე და ან ვინ სთხოვა ალექსანდრე პირველს საქართველოს ,,ქვეშევრდომათ‘‘ მიღება.

სარედაქციო კაბინეტებში შექმნილ ისტორიას ,,მორნინგ პოსტი‘‘ ჩვეულებრივ პროვოკაციას უმატებს: საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გერმანიის პოლიტიკის შედეგიაო, დამოუკიდებლობა გეგეჭკორმა გამოაცხადაო და სხვა.

საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველმა ხალხმა გამოაცხადა და თუ რამდენათ აფასებს ამ დამოუკიდებლობას თავის ზურგზე განიცადა სოჭსაან და ბზიბთან ვრანგელის ბანდებმა.

კავკასიის ქედს მრავალჯერ უნახავს კომუნისტების და მოხალისეების ტალღა, მაგრამ ისინი ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსულან მხოლოდ როგორც ტყვეები.

წერილს მიზნათ აქვს ხელი შეუშალოს ე. გეგეჭკორის მისიას, მაგრამ ინსინუაციებით ვერაფერს იზამენ ჩვენი მტრები, ევროპის დემოკრატია საკმაოთ გვიცნობს, რომ ,,მორინგ პოსტის‘‘ რედაქციაში მოჩმახულ ჭორებს დაუჯეროს.

**ე—ნი.**

## ,,Morning Post‘‘-ი და საქართველო.

გაზ. ,,მორნ. პოსტი‘‘-ს სექტემბრის უკანასკნელ რიცხვების ნომერის მეთაურში სწერს*)

,,არის მრავალი საბუთები იმისათვის, რომ საქართველოს მისი დეფაქტოთ (?) ცნობის მოთხოვნა, დაკმაყოფილებული არ იქნას. ის საფუძვლები, რომელიც საქართველოს მთავრობას მოყავს არ არის არსებითი და ზოგიერთ შემთხვევებში განზრახ ყალბია: მაგალითად ისტორიული მითითება საქართველოს დამოუკიდებლობაზე წარსულში, რუსეთთან ,,ნებაყოფილობითი უნიამდი‘‘ საქართველო არას დროს არ ყოფილა სახელმწიფო, როგორც ეს წარმოდგენილი გვაქვს. 1803 წ. ის წარმოადგენდა მუდამ ერთმანეთთან ომში მყოფ ტომების რიგებს, რომელთაგან მრავალი, საქართველოს უძლური მეფის ირაკლის ,,ლამაზი ქესტის‘‘ შემდეგ, რომელმაც ალექსანდრე I-ს სთხოვა მიეღო საქართველო თავის ქვეშევრდომათ, ერთბაშათ არ დამორჩილდა რუსეთის მთავრობას. თანამედროვე საქართველოს ისტორიულად განხილვის შემდეგ უნდა გვახსოვდეს, რომ ის ნაყოფია გერმანიის დიპლომატიის მუშაობის. გეგეჭკორმა გამოაცხადა მისი დამოუკიდებლობა 1918 წელს გერმანიის სარდლობის კავკასიაში პირდაპირი ბრძანებით, ეს ფაქტი იმდენათ თვალსაჩინო იყო, რომ გეგეჭკორი იძულებული გახდა გამქრალიყო პოლიტიკურ ჰორიზონტიდან, როცა გერმანიის გავლენა კავკასიაში შეცვალა მოკავშირეთა გავლენამ.

ახლა ქართველებს, რომლებმაც დაკავეს ბათომის-ნავთსადგური, რომელიც ნაციათა ლიგის კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო, უჭირავთ ამიერ-კავკასიის გამოყოფა და სომხეთი მოჭრილი ... გეგეჭკორის მისიას მიზნათ აქვს [illegible] თბილისზე და ბათომზე რუსეთის კონტროლი. რომელიც იცნო ყველამ, გარდა ახლად გამომცხვარ საქართველოს მმართველებისა.‘‘

შემდეგ გაზეთი სწერს: თუ ის (ვრანგელი) დამარცხდა და დაკარგა ბატონობა შავ ზღვაზე, მის ადგილს დაიჭერენ ბოლშევიკები და ამ შემთხვევაში ჩვენ მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ცნობა არაფერს არ შეცვლიდა მის მდგომარეობაში: პირველ შემთხვევაში კი (ე. ი. ვრანგელის გამარჯვების დროს—რედაქ.) ჩვენს წინააღმდეგ ავამხედრებდით რუსეთის საზოგადოებრივ აზრს, რომელშიც ისედაც ბევრი სიმწარეა ჩვენს მიმართ და არ დაბაყოვნებდა ამიერ კავკასიის თავის სულიერ ცენტრთან რუსეთთან აუცილებლათ დაბრუნებას. საქართველოს მოთხოვნა სასარგებლოა მხოლოდ ქართველ შოვინისტებისათვის და ჩვენი მტრებისთვის. და გნა საჭიროა, რომ ინგლისმა თავის ბეჭედით დაადასტუროს ამიერ-კავკასიაში მოკავშირეების საწინააღმდეგო ერთ-ერთ ვერაგული ზრახვების განხორციელება?

*) წერილი მოგვყავს ყირიმის გაზეთი ,,ვოენნი გოლოსის‘‘ გადმოცემით.

## საუბარი ხატისოვთან.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა სომხეთის მთავრობის რწმუნებულს საზღვარ გარეთ ა. ი. ხატისოვს საუბარს უადვილოპის გამო ვბეჭდავთ ძლიერ შეოკლებით

მთავარი მიზეზი ჩემი გამგზავრებისა იყო:) ორგანიზაცია სომხეთის დამოუკიდებლობის სესხისა, 2) შესწავლა სომხების კოლონიების საჭიროებისა. საზოგადოთ, კავშირის დაჭერა ამიერ-კავკასიასთან და 3) ცდა რომ ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ სომხეთის რესპუბლიკა

ბ-ნ ხატისოვს მოუვლია მთელი ევროპა და ყველგან მოუწყვია სესხის კომიტეტებ, იმედი აქვს რომ შეგროვილი იქნება ძალიან დიდი თანხა, მარტო კონსტანტინეპოლს მიუცია 300,000 დოლლარი

კოლონიები კარგათ ყოფილა მოწყობილი

ათიანაში უსაუბრია ვენეზილოსთან, ბუხარესტში რუმინიელ მინისტრებთან. საერთოთ კარგი აზრის ყოფილან როგორც სომხეთზე აგრეთვე საქართველოზეც.

რუსები მთელ ევროპაში მობნეულან, ყველაზე მეტი სტამბოლში იმყოფება პარიზში რუსებს ძალიან უჭირთ შესვლა.

როგორც სტამბოლში აგრეთვე საბერძნეთში ღრმად წამთ რომ ზავის ხელშეკრულება განადდებულ იქნება 1920 წლისათვის და მთელ სათათრეთში იქნება ერთი ავტორიტეტული მთავრობა რომელსაც თვით სათათრეთი აღადგენს.

ამ მხრით მიდის მუშაობა დღეს მთავრობის და ევროპის პოლიტიკური მოღვაწეებისა.

ა. ხატისოვს განძრახული აქვს დარჩეს რამდენიმე ხანი ქ. ბათომში დამოუკიდებლობის სესხის სხდომაზე დასასწრებლათ და საქმის ვითარების გასაცნობათ.

ბათომიდან ხატისოვი წავა თბილისს და შემდეგ კი ერევანში რომ შესაფერი მოხსენება გაუკეთოს მთავრობას თავისი საზღვარ გარეთ მოგზაურობის შესახებ.

## ქალაქის საქმეები.

**საუბარი ქალაქის მოურავთან.**

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა ბათომის ქალაქის მოურავს